ვაკანსიის № 59168

პოზიციის დასახელება	საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი ანალიზის სამმართველოს მრჩეველი
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
კატეგორია	დიპლომატია
განცხადების ბოლო ვადა	29.01.2020
თანამდებობრივი სარგო	1900 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	12 თვე

ფუნქციები

- აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოებისა და ასევე სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია დადგენილი წესით;
- მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან, ძალაში შესვლასთან, შეწყვეტასა და გაუქმებასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი
პროცედურების გატარება;
- კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებების მომზადება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შეწყვეტისა და მოქმედების შეჩერების
შესახებ;
- საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ ხელშემკვრელი მხარის ან დეპოზიტარის ინფორმირება და მათგან შეტყობინების მიღება;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და დედნების დაცვა-შენახვა;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გატარება;
- საქართველოს სახელით საერთაშორისო ხელშეკრულებების დეპოზიტარის ფუნქციის შესრულება;
- კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს საერთაშორისო ხელშკრულებების დადებასთან, ტექსტის მიღებასთან, შეწყვეტასთან ან შეჩერებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საქართველოში აკრედიტირებულ უცხო ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიურ წარმომადგენლობების სამართლებრივი დახმარება
- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებაზე საერთო ზედამხედველობის განხორციელებაში მონაწილეობა;
- საქართველოს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებისა და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე წინადადებების
მომზადება;
- აქტუალური საერთაშორისო სამართლებრივი საკითხების ანალიზი;
- საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების მასალების მომზადებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობით და სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით
გათვალისწინებული ანგარიშების მომზადების კოორდინაცია.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	მაგისტრი

სამუშაო გამოცდილება	2 წელი
პროფესია	საერთაშორისო სამართლის სპეციალობით

საკონკურსო თემატიკა

„საქართველოს კონსტიტუცია“გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და მისი დამატებითი ოქმებიეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და მისი დამატებითი ოქმიბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმებიწამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია და მისი დამატებითი ოქმირასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია და მისი დამატებითი ოქმიშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციაჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და დამატებითი ოქმებიადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია„სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია,,დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1963 წლის კონვენცია,,საკონსულო ურთიერთობების შესახებ“ ვენის 1961 წლის კონვენციასისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება (სტატუტი)სახელმწიფოთაშორისო დავების მოგვარების სამართლებრივი მექანიზმებიგაერო-ს სისტემის ადამიანის უფლებათა დაცვის არასახელშეკრულებო (UPR - უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა) და სახელშეკრულებო ორგანოები (CERD, CESCR, CCPR, CEDAW, CAT, CRC, SPT, CRPD)ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო; „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი□საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის □206 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულება“.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი
Microsoft Office Outlook	კარგი

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ინგლისური	C1	C1

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. 4
საკონტაქტო ტელეფონები	032 2 94 50 00 (24-11) ან (24-05)

დამატებითი მოთხოვნები

- საქართველოს მოქალაქე;
- კანდიდატი არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი.
• სავალდებულოა აგრეთვე მეორე უცხო ენის ცოდნა (გარდა ინგლისური ენისა) B2 დონეზე.

• სავალდებულოა სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება;
• სავალდებულოა შემდეგი საკითხების ცოდნა:
- საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი,
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი,
- ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი,
- საერთაშორისო სისხლის სამართალი,
- დიპლომატიური და საკონსულო სამართალი

• სავალდებულოა მამაკაცმა კანდიდატმა წარმოადგინოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო ბილეთი ან ცნობა) ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან სამხედრო სამსახურში განწვევის გადავადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სავალდებულოა შემდეგი კომპეტენციები:
- შედეგების მიღწევა
- ანგარიშვალდებულება
- ანალიტიკური აზროვნება
- გუნდური მუშაობა

- ზეპირი და წერითი კომუნიკაცია
- პროფესიულგანვითარებაზე ზრუნვა

დამატებითი ინფორმაცია

1. კონკურსის ეტაპები:
– განაცხადების გადარჩევა;
– ტესტირება და წერითი დავალება ინგლისურ ენაში, წერითი დავალება (თხზულება, არგუმენტირებული ესე) მეორე (არჩევით) უცხო ენაში, პროფესიული წერითი დავალება ინგლისურ ენაზე;
– გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც წარმოსადგენი იქნება აგრეთვე პრეზენტაცია PowerPoint ფორმატში.

2. ინგლისური ენის ცოდნის სავალდებულო დონეა C1, ხოლო მეორე უცხო ენის ცოდნის სავალდებულო დონე - B2 ; უცხო ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატის ან უცხო ენაზე უმაღლესი განათლების მიღების დამადასტუტებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატი შესაძლოა გათავისუფლდეს შესაბამის (სწავლების ენა) უცხო ენაში წერითი გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისაგან. ასეთ შემთხვევაში კანდიდატმა თავის რეზიუმეში, ველში – „დამატებითი დოკუმენტაცია“ უნდა ატვირთოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3. კანდიდატმა „ჩემი რეზიუმე“-ს შესაბამის ველში აუცილებლად უნდა ატვირთოს:
• უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. თუ კანდიდატს საკვალიფიკაციო მოთხოვნით განსაზღვრული უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, აუცილებელია აიტვირთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია ნოტარიულად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად; ამასთან, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, თანამდებობაზე დანიშვნისას კანდიდატმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოში
აღიარების დამადასტურებელი ცნობა;
• სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

• სავალდებულოა მეორე (არჩევითი) უცხო ენის დასახელების მითითება თქვენს რეზიუმეში დამატებითი ინფორმაციის ველში
• კანდიდატმა შესაბამის ველში უნდა მიუთითოს რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია;
• სავალდებულოა, კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის ველი.

4. მამაკაცმა კანდიდატმა „ჩემი რეზიუმე“-ს ველში - „დამატებითი დოკუმენტაცია“ - აუცილებლად უნდა ატვირთოს: სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო ბილეთი ან ცნობა) ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. კონკურსთან დაკავშირებულ ყოველ მომდევნო ინსტრუქციას კანდიდატი მიიღებს მხოლოდ რეზიუმეში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის შესაძლებელია დაკავშირება სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (შესვენება 13-14 სთ) შემდეგ ტელეფონებზე - (+995 32) 2-94-50-00 (შიდა 24-11 ან 24-05)

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან მაქსიმუმ 6 თვემდე ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
წერითი დავალება
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑ოჯახის წევრები

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑ენები

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑რეკომენდატორები

☑სამოტივაციო წერილი